195872

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
ᲕᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ

№ 4 (85) სექტემბერი 1958 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებისა და განჯარგულებების კანონიერების შესახებ ცაგერის და ლენტეხის რაიონებში.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ამბროლაურის და მესტიის რაიონებში.

3. მახარაძის, წითელწყაროს და ახალციხის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

4. ბრძანებულება ჭიათურის რაიონის და ქალაქ ჭიათურის სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

5. ბრძანებულება გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის და სტამბის მუშაკთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

6. ლენინხუთის და ზაზურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში საქმისწარმოების მდგომარეობის შესახებ.

7. ბრძანებულება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ.

8. ბრძანებულება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

10. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობის შესახებ თეთრწყაროს, ლაგოდეხისა და ჩხოროწყუს რაიონებში.

11. ბრძანებულება საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მ. თ. ჩიბლაძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

12. ბრძანებულება სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების კანონიერების შესახებ ცაგერის და ლენტეხის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ როგორც შემოწმებით გამოირკვა, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განკარგულებები ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას, მაგრამ ზოგიერთი გადაწყვეტილება და განკარგულება არასწორია და ეწინააღმდეგება კანონს.

რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები აჭარბებენ რა მათთვის მიკუთვნებულ უფლებებს მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ, აწესებენ ჯარიმებს ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება სრულიად საქართველოს სსრ კაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დაწესებულ ნორმებს. 1957 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ლენტეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა წყალსადენის უნებართვოდ გაყვანისათვის დაიწესა ჯარიმა 300 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად არაუმეტეს 50 მანეთისა. ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომმა 1957 წლის 15 ივლისის სავალდებულო გადაწყვეტილებით დაბა ცაგერის ქუჩებში პირუტყვის თავისუფლად გაშვებისათვის დაიწესა მეპატრონისათვის პირუტყვის ჩამორთმევა და საზკვების ობიექტებისათვის ჩაბარება სათანადო ღირებულების ანაზღაურებით. ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომმა 1957 წლის 6 ივნისის სავალდებულო გადაწყვეტილებით აგარაკ მუაშის ტერიტორიაზე აკრძალა რა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია, ამ გადაწყვეტილების დამრღვევ პირთა 50 მანეთით დაჯარიმების უფლება მიანიჭა მილიციის უბნის ინსპექტორს ერთპიროვნულად.

ლენტეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში ადგილი აქვს არასწორ პრაქტიკას, როცა ზოგიერთი საკითხი, რომელიც მოითხოვს აღმასკომის სხდომაზე განხილვას და გადაწყვეტას, ან საგანკარგულებო წესით სათანადო გაფორმებას, იხილება და წყდება აღმასკომის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ და ფორმდება ბრძანებით. ასე, მაგალითად: რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გულბაანის 1957 წლის 25 იანვრის № 7 ბრძანებით რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილია მოქალაქეთა წლოვანების დამდგენი კომისია.

ცაგერისა და ლენტეხის რაისაბჭოების აღმასკომების და ამ რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ ადგილი აქვს კოლმეურნეობებში არჩეული პირების (თავმჯდომარეების და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების) დისციპლინარული წესით უშუალოდ დასჯის არასწორ პრაქტიკას, იმის მაგიერ, რომ მათი დასჯის შესაბამ რჩევა მისცენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას.

ლენტეხის რაიონის ჩოლურის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1957 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 სექტემბრის გადაწყვეტილებით საბჭოს დეპუტატებს მარგველიანს, ზალიკაშვილს, ბიანს, ონიანს და მოკბანიანს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს მიერ საბჭოს სესიების ჩატარება და გადაწყვეტილებების მიღება ხდება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დარღვევით—სხდომებს ესწრება დეპუტატების ორმესამედზე ნაკლები. ასეთ შემთხვევაში საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. ლენტეხის რაიონის ჯახუნდრის სასოფლო საბჭოს 1958 წლის 25 თებერვლის და 12 მარტის სესიებს 27 დეპუტატიდან მხოლოდ 16 დეპუტატი დაესწრო, ხოლო რცხმელურის სასოფლო საბჭოს მე-4 სესიას 15 დეპუტატიდან 8 დეპუტატი დაესწრო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ცანის, ჯახუნდრის და მთელ რიგ სხვა სასოფლო საბჭოების სესიებზე სხდომის გასაძღოლად არ ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს, ხოლო ლენტეხის რაიონ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი ხელს არ აწერენ აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ცაგერის რაიონის აღვის, წიფერჩის, ლენტეხის რაიონის ლენტეხის სასოფლო საბჭოების აღმასკომები არ იკაკვენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებას. საბჭოების მუდმივ კომისიებს თავის დაქვემდებარებულ ორგანოებად სთვლიან; აძლევენ მათ დავალებებს, უმტკიცებენ სამუშაო გეგმებს და ზოგჯერ დისციპლინარული ზემოქმედების ღონისძიებებსაც კი იყენებენ.

აღნიშნული დარღვევები გამოწვეულია იმით, რომ ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ზუსტად არ ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით; მათ არ გააკეთეს საჭირო დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 31 აგვისტოს და 1957 წლის 31 იანვრის დადგენილებებიდან და არ მიიღეს საჭირო ზომები სოციალისტური კანონიერების გატარების საქმეში არსებულ შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის; საკმაო კონტროლს და დახმარებას არ უწევენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს კანონიერების დაცვის საქმეში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) განიხილონ ეს დადგენილება და მიიღონ საჭირო ზომები სოციალისტური კანონიერების მტკიცედ გატარებისათვის, გადასინჯონ და სათანადო წესის დაცვით გააუქმონ საბჭოების აღმასკომების მიერ გამოტანილი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები;

ბ) გააცნონ ეს დადგენილება სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს, რაიაღმასკომის განყოფილებებს და შემდგომში პერიოდულად განიხილონ საკითხი რაიონში საბჭოთა კანონიერების გატარების მდგომარეობის შესახებ;

გ) სავალდებულო გადაწყვეტილებების გამოტანის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული ხასიათის აქტების სრულყოფილად შესწავლის მიზნით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის მოაწყონ სემინარი, რისთვისაც გამოიყენონ პროკურორები, სახალხო მოსამართლეები და კვალიფიციური ლექტორები;

ე) მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ზუსტად და განუხრელად ახორციელებდნენ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულებას და საქართველოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. მ. ე. თოფურიძეს მითითება მისცეს რაიონის პროკურორებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დროულად შეიტანონ წარდგინებები რაიაღმასკომებში.

3. დაევალოს ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 12 ივლისი.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ამბროლაურის და მესტიის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ამბროლაურის და მესტიის რაიონებში, გაეგზავნოთ ამბროლაურის, მესტიის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ, შეამოწმონ და განიხილონ პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. დაევალოთ ამბროლაურისა და მესტიის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, მოსხენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1958 წლის 1 ოქტომბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 12 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მახარაძის, წითელწყაროს და ახალციხის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად, რომელმაც მოიწონა მახარაძელთა ინიციატივა სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესახებ, რესპუბლიკის რაიონები გამოეხმაურნენ მახარაძელთა ინიციატივას, ჩაებნენ ამ დიდ სახალხო საქმეში და ფართოდ გააჩაღეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

რესპუბლიკის ყველა რაიონში აღგილობრივმა საბჭოებმა, მშრომელთა აქტიური მონაწილეობით, გულდასმით შეისწავლეს მოსახლეობის მოთხოვნები, გამოავლინეს მატერიალური რესურსები, შეიმუშავეს და საბჭოების სესიებზე დაამტკიცეს მშენებლობის სამწლიანი გეგმები. ამ გეგმების მიხედვით კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდებით, მოსახლეობის თვითდაბეგვრის სახსრებით და შრომითი მონაწილეობით რესპუბლიკაში უნდა აშენდეს მრავალი სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კულტურის სახლი, კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლები. სამედიცინო-სამკურნალო ობიექტები, აბანოები, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები, სასპორტო მოედნები, საბავშვო ბაღები და ბაგები, საგაჭრო მაღაზიები და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. სამწლიანი გეგმებით გათვალისწინებულია აგრეთვე სოფლად წყალსადენის გაყვანა, ხიდების, ბოგირების და გზების მშენებლობა, სოფლების ელექტროფიცირება, რადიოფიცირება და სხვ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მახარაძის, წითელწყაროს და ახალციხის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის გაშლილია სათანადო მუშაობა და მრავალი ობიექტის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. ა/წ 1 ივლისისათვის მახარაძის რაიონში დამთავრებული იყო 1958 წლის გეგმით გათვალისწინებული 34 ობიექტის მშენებლობა, მათ შორის 5 საბავშვო ბაღის, 3 სკოლის, 1 კლუბის, 2 ბიბლიოთეკის, 1 აფთიაქის და სხვა ობიექტების მშენებლობა, 6 სოფლის ელექტროფიკაცია, 2 სოფლის რადიოფიკაცია; მშენებლობის პროცესშია 32 ობიექტი, რომელთა სამუშაოს 60—80 პროცენტი შესრულებულია. მხარი დაუჭირეს რა ქობულეთელთა ინიციატივას სკოლებში ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის შესახებ, მახარაძის რაიონში მაღალი ტემპით მიმდინარეობს 7 სასკოლო შენობის მშენებლობა. წითელწყაროს რაიონში დაწყებულია გეგმით გათვალისწინებული 35 ობიექტის მშენებლობა და 270 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლიდან აშენებულია 101 სახლი. ახალციხის რაიონში მშენებლობის პროცესშია 23 ობიექტი, რომელთა სამუშაოს 70 პროცენტი შემოწმების დროისათვის შესრულებული იყო.

რაიონული და სასოფლო საბჭოები სათანადოდ ხელმძღვანელობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წარმატებით შესრულებას, კოლმეურნეობებში შექმნილია სამშენებლო ბრიგადები, ხოლო მახარაძისა და წითელწყაროს რაიონებში შექმნილია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორები, გაშლილია მუშაობა და აგდგილზე მზადდება სამშენებლო მასალები. ბევრი ობიექტი გამოცხადებულია სახალხო მშენებლობად და მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მათ მშენებლობაში. საქართველოს სსრ უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმები ზოგიერთ საბჭოში შედგენილია კოლმეურნეობების და მოსახლეობის ფართო მონაწილეობის გარეშე, რის შედეგად არ არის გათვალისწინებული მოსახლეობისათვის პირველ რიგში საჭირო ობიექტების მშენებლობა. ყველგან არ არის მოწყობილი მშენებლობის სწორი ორგანიზაცია, სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობისათვის არსებული საშუალებები ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. საშენ მასალათა წარმოების ამჟამად არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების გადიდებისათვის სუსტად მუშაობენ.

მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა ჭიანურდება იმის გამოც, რომ არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო პროექტებით და არ აქვთ შედგენილი ხარჯთაღრიცხვები, რაშიაც სათანადო დახმარებას არ უწევენ შესაბამისი სამინისტროები.

წითელწყაროს და ახალციხის რაიონებში მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა ჭიანურდება, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი წელი უკვე გავიდა, ახალციხის რაიონში 1958 წლის გეგმით გათვალისწინებული 3 ამბარის და 7 წყალსადენის მშენებლობა 1958 წლის 1 ივლისისათვის არ იყო დაწყებული. ხოლო წითელწყაროს რაიონში 12 ობიექტის მშენებლობა დაწყებული არ იყო. ზოგიერთი სასოფლო საბჭო ქმედით დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებს, კმაყოფილდება ზოგადი ხელმძღვანელობით და არ იჩენს ამ დიდ სახალხო საქმის შესრულებისათვის საკმაო ინიციატივას.

ჯერ კიდევ ფართოდ არ არის დარაზმული მოსახლეობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში შრომითი აქტიური მონაწილეობისათვის და ნაკლებად ეწყობა შაბათობა და მშრომელთა მასობრივი გასვლა მშენებლობაზე. წითელწყაროს რაიონულ, გამარჯვების, ქვემო ქედის, ახალციხის რაიონის აწყურის და სვილისის სასოფლო საბჭოებს არ შეუმოწმებიათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დასახული გეგმების შესრულების მიმდინარეობა, არ მოუსმენიათ აღმასკომის სხდომებზე და არ გაუტარებიათ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. რაიონულ პრესაში არადამაკმაყოფილებლად შუქდება მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში აქტიურად არ არიან ჩაბმულნი საბჭოს დეპუტატები და მუდმივი კომისიები. სათანადოდ არ არის გაშლილი საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოს მახარაძის, წითელწყაროს და ახალციხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აამაღლონ საბჭოების როლი და გადაჭრით გააუჯობესონ მათი ხელმძღვანელობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დაწყებულ დიდ სახალხო საქმეში, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულების მდგომარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

ბ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში ფართოდ ჩაბმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი და მშრომელი მოსახლეობა; ნნიშნველოვანი ობიექტები გამოაცხადონ სახალხო მშენებლობად და აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღებინონ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. უზრუნველყონ 1958 წელში გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის დამთავრება;

ბ) მოსახლეობისათვის პირველ რიგში საჭირო ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიან გეგმებში შეიტანონ საჭირო შესწორებანი;

დ) მაქსიმალურად გამოავლინონ და გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, მოაწყონ სამშენებლო მასალების წარმოების სწორი ორგანიზაცია და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება;

დაევალოს რაიონის ორგანიზაციებს, რომელთაც საშუალება აქვთ, გადასცენ კოლმეურნეობებს, ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში, სამშენებლო მექანიზმები და მანქანები;

ე) კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის, დაიწყონ გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის;

ვ) სისტემატურად გააშუქონ რაიონულ პრესაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოავლინონ და პოპულარიზაცია გაუწიონ მშენებლობის მოწინავეებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს დახმარება გაუწიონ რაიონული საბჭოების აღმასკომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული იმ ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მათ დარგობრივ და უწყებრივ გამგებლობაშია.

3. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას (ამხ. ზ. ნ. კეცხოველი) შეისწავლოს და განიხილოს რაიკავშირების მიერ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხი და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონული საბჭოს აღმასკომს შეამოწმონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, განიხილონ აღნიშნული საკითხი აღმასკომის სხდომებზე და საბჭოს სესიებზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მშენებლობის სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

5. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეამოწმონ და პრეზიდიუმის სხდომებზე მოისმინონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, დასახონ საჭირო ღონისძიებანი მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 12 ივლისი.

4. ბრძანებულება ჭიათურის რაიონისა და ქალაქ ჭიათურის სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჭიათურის რაიონის გაუქმებისა და მასში შემავალ სოფლებისა და საბჭოების ადმინისტრაციულად ჭიათურის საქალაქო საბჭოზე დაქვემდებარების გამო, გაერთიანდნენ ჭიათურის რაიონისა და ქალაქ ჭიათურის სახალხო სასამართლოები ერთ, ქალაქ ჭიათურის, სახალხო სასამართლოდ.

2. ქალაქ ჭიათურის სახალხო სასამართლო განისაზღვროს 2 სახალხო მოსამართლისა და 140 სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 12 ივლისი.

5. ბრძანებულება გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის და სტამბის მუშაკთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით და პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბულაძე ალექსანდრე გიორგის-ძე — რედაქციის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე
2. ალბეგაშვილი არტემ თომას-ძე — რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე
3. გაზზაევი ზალიკო გაბრიელის-ძე — სტამბის დამკაბადონებელი
4. გელაშვილი ვლადიმერ სოლომონის-ძე — რედაქტორი
5. ელიოზიშვილი ნოდარ ელიოზის-ძე — რედაქციის ლიტერატურული მუშაკი
6. მამისთვალოვი აბრამ ისაკის-ძე — რედაქციის მთარგმნელი
7. ტრანკაშვილი ავთანდილ გიორგის-ძე — მუშა კორესპონდენტი, სტალინირის მექანიკური ქარხნის შემდუღებელი
8. ყურაშვილი სერგი დიანოზის-ძე — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი
9. ჯღირაძე ანა გიორგის ასული — სოფლის კორესპონდენტი, ლენინგორის რაიონის სოფელ პავლიანის სამკითხველოს გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 12 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ლანჩხუთის და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში საქმისწარმოების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, როგორც შემოწმებით გამოიარკვა, ლანჩხუთის და ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს საქმისწარმოებაში გაანჩიათ რიგი ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის საბჭოებისა და მათი აღმასკომების ოპერატიულ მუშაობას, დავალებათა დროულ შესრულებას, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას. რიგ საბჭოებში არ ადგენენ სამუშაო გეგმებს, ნაკლებად სწარმოებს ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა, საბჭოებისა და მათი აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, საქმისწარმოებაში არ არის დაცული სიზუსტე. სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა, ყოველთვის არ ახდენენ გაგზავნილი პასუხებისა და გაცემული ცნობების ასლების შენახვას ან მათი მოკლე შინაარსის ჩაწერას გასულ ქაღალდების წიგნში; მაგალითად: სურამის სადაბო საბჭოში 20 ცნობა გაცემულია ერთი გასავლის ნომრით და არ სჩანს მათი შინაარსი და გაცემის საფუძველი; საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომის ოქმები სრულყოფილად არ ფორმდება, რიგ შემთხვევაში ნაჩვენები არ არის სესიაზე დამსწრე დეპუტატთა რიცხვი, სესიის დღის წესრიგის, რეგლამენტის დამტკიცებისა და სესიის მსვლელობის შინაარსი; ზოგ შემთხვევაში მოსმენილ საკითხებზე ოქმს არა აქვს დართული და არც არის ჩაწერილი მოხსენების მოკლე შინაარსი და კამათში გამოსულთა სიტყვები; საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები რიგ შემთხვევაში არ ეგზავნებათ ქვემდგომ საბჭოებს და იმ წარმოება-დაწესებულებებს, რომლებსაც ეხებოდა საკითხი. რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომები ზოგჯერ აგვიანებენ სესიისა და აღმასკომის სხდომის ოქმების გაფორმებას და შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მათ ადგენენ 1—2 თვის დაგვიანებით. აღგილი აქვს სასოფლო საბჭოს დებულების დარღვევას—სესიის სხდომის გასაძღოლად არ ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. საბჭოების აღმასკომების საქმისწარმოებაში დაცული არ არის შემოსული და გასული ქაღალდების ერთიანი ფორმით აღრიცხვა, არ არის მოწესრიგებული საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების, კრების ოქმების გაფორმება და ამომრჩევლებიდან მიღებულ განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვა, აგრეთვე საბჭოებთან არსებული მუდმივი კომისიების მუშაობის საქმისწარმოება; მთელ რიგ საბჭოებში მუდმივ კომისიებს არ გააჩნიათ სამუშაო გეგმები, სხდომის ოქმები და ჩატარებული მუშაობის საბუთები; საჭიო ყურადღება არ ეთმობა სოფლის ყრილობების ჩატარებას და ამ ყრილობებზე განხილულ საკითხების ოქმებით გაფორმებას. ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი არ ასორციელებს სანოტარო მოქმედებას საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შესაბამისად და მოსახლეობას არ უწევს ამ საქმეში საჭირო მომსახურებას, არის შემთხვევები როცა საბჭოს აღმასკომები გაცემულ ცნობებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებისათვის დადგენილი წესით არ ახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს. მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების გაფორმების და საკომლო წიგნების წარმოებისას დაცული არ არის სათანადო ინსტრუქციები, აგდგილი აქვს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების გაფორმებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებული საბუთების წარდგენის გარეშე, საკომლო წიგნებში არსებული ცნობების ჩაწერას და გადასწორებას.

შემოწმებულ საბჭოებში საჭირო ყურადღებას არ აქცევენ საარქივო საქმეების წესრიგში მოყვანას და სასელმწიფო არქივის რაიონულ განყოფილებაში მათ შესანახად გადაცემას. ხაშურის რაიონის გომისა და ცხრამუსის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს 1944 წლიდან საქმეები არ გადაუციათ სახელმწიფო არქივის რაიონულ განყოფილებისათვის, ინახება დაუცველ ადგილას აღწერილობის გარეშე, რის გამოც საბუთები ძლიერ არის დაზიანებული.

საარქივო მასალები მოუწესრიგებელია აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის ჩიბათისა და სუფსის სასოფლო საბჭოებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საქმისწარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ რაისაბჭოს აღმასკომები არ ამოწმებენ საქმისწარმოების მდგომარეობას, არ იხილავენ რაიაღმასკომის სხდომებზე და არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაავალოს ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს (ამმ. მ. კ. ვადაჭკორიას და ამმ. მ. ნ. ჯიბუტს) მიიღონ გადამჭრელი ზომები საბჭოების აღმასკომებში საქმისწარმოების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, რისთვისაც:

ა) შეამოწმონ ყველა საბჭოს აღმასკომში საქმისწარმოების მდგომარეობა და მიიღონ კონკრეტული ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) აამაღლონ საბჭოების მდივნების პირადი პასუხისმგებლობა საქმისწარმოების მაღალ დონეზე დაყენებისათვის, პერიოდულად ჩაატარონ მათი საინსტრუქტაჟო თათბირები და გამოიყენონ ამ საქმეში უფრო მეტად გამოცდილი მდივნები და სხვა მცოდნე მუშაკები;

გ) უზრუნველყონ ყველა საბჭოს აღმასკომში საქმისწარმოების მოწოდების სიმაღლეზე დაყენება და მტკიცედ დაიცვან საქმისწარმოების არსებული წესები;

დ) საჭირო ყურადღება დაუთმონ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების ოქმების სრულყოფილად გაფორმებას და მათ დროულად კუთვნილებისამებრ წარდგენას, გადაწყვეტილებათა დაყვანას სასოფლო და სადაო საბჭოების აღმასკომებამდე და იმ ორგანიზაციებამდე, რომელთაც ეხებათ მათი განხორციელება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვას, დაწესებულ ვადებში მათ განხილვას და პასუხების გაცემას;

ვ) მტკიცედ დაიცვან მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების გაფორმების წესები და არ დაუშვან არსებული ინსტრუქციების დარღვევა;

ზ) უზრუნველყონ საბჭოებში ნოტარული საქმისწარმოების შესრულება, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შესაბამისად და არ დაუშვან დაწესებული საბაჟო გამოსაღების გადაუდებელობა;

თ) უახლოეს დროში მოაწესრიგონ საარქივო საქმეები და უზრუნველყონ სახელმწიფო არქივის რაიონულ განყოფილებაში მათი ჩაბარება;

კ) დაავალონ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს რაიონის ინსპექტორებს, სანოტარო კანტორების ნოტარიუსებს და რაიონული არქივების უფროსებს, რათა მათ პერიოდულად შემოწმონ საბჭოებში საქმისწარმოების მდგომარეობა და გაუწიონ საბჭოების აღმასკომებს საჭირო დამმარება საქმისწარმოების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

2. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ გააჩნიათ საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასოფლო საბჭოების აღმასკომების საქმისწარმოების ინსტრუქცია.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ საქმისწარმოების მდგომარეობა და მიიღონ ზომები არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე—**ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1958 წ. 8 აგვისტო.

7. ბრძანებულება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საბოლოო გადასაწყვეტად ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შემდეგი საკითხები:

ა) დასაბლებული პუნქტების ერთი სასოფლო, სადაბო საბჭოს შემადგენლობიდან მეორეში გადაცემა, აგრეთვე რაიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შეცვლა, ცალკეული დასახლებული პუნქტების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიების სხვა რაიონების შემადგენლობაში გადაცემასთან დაკავშირებით (ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის საზღვრებში);

ბ) სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნა, გაერთიანება და გაუქმება, მათი ადმინისტრაციული ცენტრების გადატანა, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების გადარქმევა მათი ცენტრების გადატანასთან დაკავშირებით;

გ) რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების საზღვრების დადგენა და გაფართოება იმ პირობით, რომ ქალაქის (დაბის) საზღვრების გასაფართოებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფა მომხდარია დადგენილი წესის მიხედვით.

2. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხზე თავიანთ ბრძანებულებებსა და გადაწყვეტილებებს აგზავნიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

3. ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად შეტანილ იქნეს წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 14 მუხლის „ე" პუნქტში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

8. ბრძანებულება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" პირველი ნომრის გამოსვლიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით და პრესაში ხანგრძლივი მუშაობისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ანუფრიევი ივანე ფეოქტისტის-ძე — პოდპოლკოვნიკი, გაზეთის პარტიული და კომკავშირული ცხოვრების განყოფილების უფროსი
2. ბოგანოვი პეტრე გრიგოლის-ძე — პოდპოლკოვნიკი, გაზეთის საბრძოლო და ფიზიკური მომზადების განყოფილების უფროსი
3. ბუდაშევსკი გრიგოლ ბორისის-ძე — პოდპოლკოვნიკი, გაზეთის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების უფროსი
4. გოლოვასტიკოვი მიხეილ კუზმას-ძე — პოლკოვნიკი, გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი
5. კვახაძე ალექსანდრე სამსონის-ძე — გამომცემლობის სტამბის ტექნიკური ხელმძღვანელი
6. კრასილნიკოვი ალექსი ივანეს-ძე — გაზეთის დამკაბადონებელი
7. ნებიერიძე დავით ილიას-ძე — სტამბის სალინოტიპო საამქროს უფროსი
8. ოსიკ ალექსი პეტრეს-ძე — პოდპოლკოვნიკი, გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. პლატონოვი სერგი მიხეილის-ძე — სტამბის სარეტაციო საამქროს უფროსი
10. საგინაშვილი ივანე თევდორეს-ძე — სტამბის საბეჭდი საამქროს უფროსი
11. სოკუროვი ბორის ეროთეს-ძე — პოდპოლკოვნიკი, ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორი პრესის დარგში
12. სპირკოვი კონსტანტინე გრიგოლის-ძე — პოდპოლკოვნიკი, გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი
13. სტეფანოვა ბარბარე ლეონტის ასული — გაზეთის გამომცემლობისა და სტამბის მთავარი ბუხჰალტერი
14. მიდლოვსკაია ელისაბედ ალექსანდრეს ასული — სარეციზიო კორექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 8 სექტემბერი.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებამ „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ გარკვეული როლი შეასრულა მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებისა და ამ მანქანების მძღოლების მიერ მოძრაობის უსაშიშროებისა და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დაცვის საქმეში. მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ ძირითადად სწორად ტარდება აღნიშნული ბრძანებულება.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს აღნიშნული ბრძანებულების დარღვევის შემთხვევებს. ზოგიერთი რაიონის მილიციის, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ მკაცრად არ ტარდება ბრძანებულებით გათვალისწინებული ზომები მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დამრღვევ პირთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით, არასაკმაო ბრძოლა სწარმოებს იმ მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა წინააღმდეგ, რომლებიც მანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ.

ზოგ შემთხვევებში მილიციის ორგანოები, ბრძანებულების პირველი მუხლის და მეორე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ მასალებს დაგვიანებით, უხარისხოდ გაფორმებულს და საკმაო საფუძვლის გარეშე აგზავნიან სახალხო სასამართლოებში. ასე, მაგალითად: მაისისა და ივლისის თვეებში მომხდარი დარღვევების გამო შედგენილი 13 საქმე ამა წლის 20 აგვისტოსათვის ჯერ კიდევ არ იყო გაგზავნილი ქ. თბილისის სახალხო სასამართლოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის მილიციის სამმართველომ სახალხო სასამართლოს გაუგზავნა მასალები მძღოლ ბუდარიანის მიმართ მანქანის პირადი გამორჩენისა და არაფიზიურ მდგომარეობაში მართვის ბრალდებით. კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამბ. გ. იოსავა) ბუდარიანი გაამართალა ვინაიდან გამორჩენის მიზნით მანქანის გამოყენება არ დაუდასტურდა, ხოლო მისი სამთვრალის შესახებ საქმეს ექიმის ცნობა არ ერთოდა. ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მილიციამ გაუგზავნა საქმე მძღოლ მურადიანის მიმართ, აღნიშნული საქმე სახალხო მოსამართლემ ამხ. უ. თარგამაძემ წარმოებაში მიიღო და მძღოლი გაასამართლა ტექნიკურად არაუსესერ მდგომარეობაში მყოფი მანქანის მართვისათვის, თუმცა საქმეში მანქანის ტექნიკური მდგომარეობის აქტი არ იყო.

არასწორი პრაქტიკაა დამკვიდრებული ქ. თბილისში, როდესაც ბრძანებულებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის საქმეების სახალხო სასამართლოში წარმართვის საკითხს წყვეტს ქალაქის მილიციის სამმართველოსთან არსებული განყოფილებები, მაშინ როცა ამ კატეგორიის საქმეები უნდა წარმართოს ქალაქის მილიციის სამმართველოს და რაიმილიციის უფროსებმა ან მათმა შემცველმა პირებმა.

საქმეთა განხილვისას სახალხო მოსამართლეების უმრავლესობა დადგენილებებში არ მიუთითებენ ბრძანებულების სახელწოდებას, მუხლს, მუხლის ნაწილს და კმაყოფილდებიან მხოლოდ ბრძანებულების თარიღის აღნიშვნით.

მთელ რიგ სახალხო მოსამართლეებს დამნაშავე პირთა მიმართ გამოაქვთ ლმობიერი სასჯელი, უსაფუძვლოდ სპობენ საქმეებს, ან არ იყენებენ მათ მიმართ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ისეთ აუცილებელ სასჯელს, როგორიცაა ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა. მაგალითად: თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. გ. ჭედიამ ავტომანქანის მფლობელ თოფჩიშვილს, რომელიც მანქანას სისტემატურად იყენებდა პირადი გამორჩენის მიზნით, მხოლოდ 200 მანეთის ჯარიმა და ორი თვით მართვის უფლების ჩამორთმევა აკმარა. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ლ. არზანიმა მძღოლი რეიხანოვი, რომელმაც მანქანა პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენა, მხოლოდ 100 მანეთით დააჯარიმა და ერთი თვით მართვის უფლება ჩამოართვა. ამავე რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ს. ბეგლაროვმა უსაფუძვლოდ მოსპო საქმე მძღოლ ნუკრაძის მიმართ, რომელიც მანქანას პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდა. ლმობიერი დადგენილებები გამოაქვთ აგრეთვე გურჯაანის, წყალტუბოს, ქ. თბილისის სტალინის და კალინინის რაიონების ზოგიერთ სახალხო მოსამართლეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ პროკურატურა ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარებას.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავა) მიიღოს საჭირო ზომები 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიაქციოს სათანადო ყურადღება მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ მოძრაობის და ექსპლოატაციის წესების დარღვევისა და მანქანის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენების შემთხვევებში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემას და მათ მიმართ აღძრული საქმეების ბრძანებულების სრული შესაბამისობით წარმართვას;

ბ) მიიღოს ზომები იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც სათანადოთ არ იბრძვიან 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების განხორციელებისათვის;

გ) მოსთხოვოს მილიციის ადგილობრივ ორგანოებს, რომ ბრძანებულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით დამნაშავე პირთა მიმართ საქმეები სრულყოფილად და ხარისხიანად გაფორმებული წარმართონ სახალხო სასამართლოებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. ს. ს. როსტიაშვილი) მიიღოს საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და სათანადო პასუხი მოსთხოვოს იმ სახალხო მოსამართლეებს, რომლებიც ლმობიერად ეკიდებიან დამნაშავე პირებს.

3. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. მ. ე. თოფურიძემ გააძლიეროს ზედამხედველობა 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დარღვევათა და დანაშაულობათა საქმეებისადმი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილი) უზრუნველყოს მილიციის მოთხოვნის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებების მიერ მძღოლების არაფხიზელი მდგომარეობის შემოწმება და ცნობების დროულად გაცემა.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა, განიხილონ აღმასკომების სხდომებზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი „გამოვლენებული დარღვევების გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 10 სექტემბერი.

10. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობის შესახებ თეთრიწყაროს, ლაგოდეხისა და ჩხოროწყუს რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრიწყაროს, ლაგოდეხისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობისადმი სელმძღვანელობა ერთგვარად გაუუმჯობესეს. ისინი გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ამ დაწესებულებათა მუშაობას და მოსახლეობის კულტურული მომსახურების მაღალ დონეზე დაყენებას. მშრომელთა დეპუტატების მთელი რიგი სასოფლო საბჭოები და მათი კულტურულ-საგანმანათლებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ კულტურის სახლებისა და კლუბების მუშაობის საკითხებს, იხილავენ აღმასკომის სხდომებზე და პრაქტიკულად ეხმარებიან მათ არსებულ ნაკლოვანებების გამოსწორებაში.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრიწყაროს, ლაგოდეხისა და ჩხოროწყუს რაიონების კულტურის სახლებს და კლუბებს თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. აღნიშნულ რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები საკმაო მუშაობას არ აწარმოებენ მშრომელთა შორის, ნაკლები ყურადღება ექცევა მაატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობას და წიგნის პროპაგანდას. სათანადო სიმაღლეზე არ დგას კინომომსახურება, კულტურის სასლები, კლუბები და სამკითხველოები უზრუნველყოფილი არ არიან საკმაოდ მომზადებული კადრებით. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები განაცდიან ინვენტარის საგრძნობ ნაკლებობას. თეთრიწყაროს რაიონის კულტურის სახლთან არსებული საბჭო თითქმის უმოქმედობას იჩენს. სასოფლო კლუბებში არ ტარდება ლექციები და საუბრები. სასოფლო კლუბებთან და ბიბლიოთეკებთან არსებული კედლის გაზეთები იშვიათად გამოდის. სასოფლო და სადაბო საბჭოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში კულტფონდის გამოყოფისა და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის, ცრცნისკარის და თელას კლუბებში მოსავლის აღების პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა არ სწარმოებდა. სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა დანიშნულებისამებრ არ იყენებს 400 მაყურებლისათვის ახლადაშენებულ კლუბს. 1955 წლიდან ჭიაფურდება რაიონის კულტურის სახლის რეკონსტრუქცია. მთელი რიგი კულტურის სახლები და კლუბები ვერ უზრუნველყოფს ლიტერატურის შესაძენად გამოყოფილი თანაბების თვისებას. მაგალითად, ჩხოროწყუს კულტურის სახლს მიმდინარე წელს ამ მიზნით გამოყოფილ 2.000 მანეთიდან ათვისებული აქვს მხოლოდ 358 მანეთი.

ლაგოდეხის რაიონული საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისია არავითარ ღონისძიებას არ ატარებს ამ დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად, სოლო ლაგოდეხის და ჩხოროწყუს რაიონების სასოფლო საბჭოებთან ეს კომისიები არ შეუქმნიათ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სუსტი მუშაობის შედეგად ადგილებზე სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის აღმზრდელობითი მუშაობა. კულტურის სახლებში და კლუბებში იშვიათად ტარდება მოხსენებები საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობისა და სხვა საკითხებზე, გამოყენებული არ არის თვალსაჩინო აგიტაცია და პროპაგანდა, არ ეწყობა მშრომელთა შეხვედრა წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან.

ლაგოდეხის რაიონულ საბჭოს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ შეუმოწმებია და არ განუხილავს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოთ თეთრიწყაროს, ლაგოდეხისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. ი. გ. ჩომახაშვილი, ლ. ლ. ჩიკვაიძე და შ. ე. ხუციტა) მკვეთრად გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა საბჭოთა კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის კა XX ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად და გადააქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მშრომელთა აღზრდის ნამდვილ კერად, რისთვისაც:

ა) ხელი შეუწყონ ყველა კლუბში მხატვრული თვითმოქმედი წრეების შექმნას, მათ მუშაობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას, მოსახლეობაში მხატვრული საღამოებისა და სხვა კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებას, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მინდვრად მუშაობის პერიოდში კოლმეურნეებისათვის აგიტმხატვრული ბრიგადების მიერ კონცერტებისა და სხვა კულტურულ ღონისძიებათა ჩატარების საქმეს;

ბ) დაეხმარონ სამკითხველოებს და ბიბლიოთეკებს საჭირო ლიტერატურის შეძენის საქმეში და ა�eშეუწყონ მკითხველთა რაოდენობის ზრდას და წიგნის პროპაგანდის შემდგომ გაუმჯობესებას;

გ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრების შერჩევის და განაწილების საქმეს და გაატარონ სათანადო ღონისძიებები მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად;

დ) გაუმჯობესონ სალექციო მუშაობა, მოხსენებებისა და საუბრების ჩატარება პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისა და ცხოვრებაში განხორციელებისათვის;

ე) მიიღონ ზომები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაფერისი ბინებით და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისათვის, არ დაუშვან მათი შენობების სხვა დანიშნულებით გამოყენება;

ვ) დაავალონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს გამოიყენონ ფულადი სახსრები მოსახლეობის თვითდაბეგვრის თანხებიდან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის ხელის შესაწყობად და ურჩიონ კოლმეურნეობების გამგეობებს კულტფონდის თანხებით აღმოუჩინონ დახმარება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების რემონტის ჩატარებასა და კეთილმოწყობაში.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. დ. ი. ჩხეიძეშვილი) მიიღოს საჭირო ზომები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

3. დაეკალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის და საქართველოს სსრ რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ საბჭოების სესიებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და დასახონ საჭირო ღონისძიებები მათი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 10 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ბრძანებულება საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მ. თ. ჩიხლაძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 30 სექტემბერი.

12. ბრძანებულება სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საგასტროლო წარმოდგენების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდეს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 2 ოქტომბერი.